Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ივნისი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის ივნისში 294.2%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 82.1%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 286.8%-ით გაიზარდა (2021/2020) და 79.8%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 361.6%-ით გაიზარდა (2021/2020) და 71.7%-ით შემცირდა (2021/2019).
- 2021 წლის ივნისში, ისრაელიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან ვიზიტორთა რაოდენობამ 2019 წლის მონაცემის დაახლოებით 75% შეადგინა.
- 2018-2021 პერიოდში, საქართველოში სასტუმროების საშუალო ფასებმა პიკს მიაღწია 2018 წელს, შემდეგ 2019 წელს ფასები თანდათან დაეცა,ხოლო 2020 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.
- 2018 წლის იანვარი - 2021 წლის ივნისის პერიოდში, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები, სხვა კატეგორიებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ცვალებადობით გამოირჩეოდა, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასები ყველაზე სტაბილური იყო.
- 2021 წლის ივნისში, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.5% -ით გაიზარდა, 2019 წლის შესაბამის თვესთან შედარებით. ეს განპირობებულია ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინებით, ასევე 2019 წლის ივნისის შოკის გამო (რუსეთიდან ფრენების აკრძალვა) დაბალი საბაზო ეფექტით.

სასტუმროს ფასების დინამიკა საქართველოში



PMC კვლევითი ცენტრი, ავტორის გამოთვლები

ამ გამოცემაში წარმოგიდგენთ სასტუმროების ფასების დინამიკის მიმოხილვას საქართველოში, როგორც COVID–ის წინა პერიოდში, ასევე, მიმდინარე პანდემიის პერიოდში. პირველ რიგში, მიმოვიხილავთ სასტუმროების ყოველთვიურ საშუალო ფასებს 2018 წლის იანვრიდან (აშშ დოლარში) booking.com–ზე განთავსებული განცხადებების ფასების მიხედვით. ფასების დინამიკა განსხვავდება 3 ვარსკვლავიანი, 4 ვარსკვლავიანი და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროებისთვის, აგრეთვე საოჯახო სასტუმროებისთვის.

თითოეულ კატეგორიაში საშუალო ფასებმა პიკს მიაღწია 2018 წლის ზაფხულის სეზონზე (ივნისი-სექტემბერი). 2019 წლის ივნისიდან, ფასების დინამიკაში კლებადი ტენდენცია შეიმჩნეოდა, რაც განპირობებული იყო 2019 წლის ივნისიდან რუსეთიდან ფრენის აკრძალვით და 2020 წელს COVID-19 პანდემიით. მიუხედავად იმისა, რომ გაანალიზებულ პერიოდში, ფასები ყველაზე დაბალი 2020 წელს და 2021 წლის დასაწყისში იყო, 2021 წლის ივნისში, ფასები თითოეულ კატეგორიაში (3*, 4*, 5* და საოჯახო სასტუმროები) მიუახლოვდა 2019 წლის ნიშნულის.

კატეგორიების მიხედვით, ფასების ყველაზე მაღალი ცვალებადობა აღინიშნებოდა 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების კატეგორიაში, რომელიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული საერთაშორისო ტურისტებზე. მეორე მხრივ, გაანალიზებულ პერიოდში სტაბილურობა ყველაზე მეტად შენარჩუნდა საოჯახო სასტუმროების კატეგორიაში.

PMC კვლევითი ცენტრი სასტუმროების საშუალო ფასების ანალიზის გარდა, ყოველთვიურად აქვეყნებს სასტუმროების ფასების ინდექსს (HPI). ყოველწლიური HPI გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა ფასები სასტუმროებში წინა წლებთან შედარებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო ფასებმა პიკს მიაღწია 2018 წელს, ხოლო 2019 და 2020 წლებში შემცირდა. ეს ტენდენცია, ასევე, აისახება HPI დინამიკაში - ინდექსის დადებითი მაჩვენებელი (ფასების ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) დაფიქსირდა მხოლოდ 2019 წლის სამი თვის და 2020 წლის ერთი თვის შემთხვევაში. ფასის ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა 2020 წლის თებერვალში, მარტში და ივლისში.აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ლოქდაუნის დროს ბევრმა სასტუმრომ არ შეცვალა კრიზისამდელი ფასები, რის გამოც, შესაძლოა ინდექსის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს 2020 წელს ფასების შემცირებას, რეალურზე დაბალი იყოს.

2021 წლის იანვარში წლიური HPI შეადგენდა -19%-ს, რაც გამოწვეული იყო იმ დროს არსებული შეზღუდვებით, და აგრეთვე მაღალი საბაზო ეფექტით (2020 წლის იანვარში ფასები შედარებით მაღალი იყო). 2021 წლის თებერვლიდან დავიწყეთ ყოველწლიურად ალტერნატიული HPI- ს გაანგარიშება რომელიც ზომავს ცვლილებებს 2021 წელს 2019 წლის მიმართ, 2020 წლის ნაცვლად. მიგვაჩნია, რომ აღდგენის კუთხით, 2019 წლის ფასებზე დაკვირვება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია.

2021 წლის ივნისში, HPI-ს დადებითი მაჩვენებელი პირველად დაფიქსირდა 2020 წლის იანვრის შემდეგ, როგორც 2020 წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე 2019 წლის შესაბამის თვესთან შედარებით. ეს გამოწვეულია საზღვრების გახსნიდან გამომდინარე ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებული პოზიტიური მოლოდინებით, აგრეთვე, 2019 წლის ივნისში შოკისგან (რუსეთიდან ფრენების აკრძალვა) გამოწვეული დაბალი საბაზო ეფექტით.



PMC კვლევითი ცენტრი, ავტორის გამოთვლები

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 ივნ/ 2021 მაი	2021 ივნ/ 2019 ივნ	2021 ივნ/ 2021 მაი	2021 ივნ/ 2019 ივნ	2021 ივნ/ 2021 მაი	2021 ივნ/ 2019 ივნ
კახეთი	3.9%	13.9%	5.1%	4.1%	3.4%	16.7%
იმერეთი	4.7%	2.2%	2.8%	2.1%	6.4%	2.2%
გურია	16.4%	-1.1%	22.4%	-7.2%	0.0%	12.2%
ქვემო ქართლი	-5.9%	-	-	-	-11.4%	-
აჭარა	26.4%	-2.3%	34.8%	-1.5%	9.9%	-4.2%
რაჭა	2.6%	-4.8%	-	-	2.6%	-4.8%
შიდა ქართლი	6.0%	26.1%	-5.2%	14.3%	32.5%	32.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.1%	4.7%	0.1%	-3.3%	3.3%	9.3%
სამცხე-ჯავახეთი	2.0%	-10.5%	7.5%	-23.3%	-5.7%	11.1%
მცხეთა-მთიანეთი	3.0%	-0.5%	-0.4%	-3.6%	7.3%	1.9%
თბილისი	-1.5%	3.1%	-1.5%	4.8%	-2.1%	-10.2%
სულ ფასების % ცვლილება	6.4%	1.5%	8.6%	0.1%	1.7%	-2.8%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის ივნისში, 2021 წლის მაისის ფასებთან შედარებით და 2019 წლის ივნისის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის ივნისში, 2021 წლის მაისთან შედარებით, 6.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 8.6%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1.7%-ით გაიზარდა.

2021 წლის ივნისში, 2019 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.1%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.8%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] 136 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 243 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივნისში 81 ლარი შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში 496 ლარი შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 739 ლარი შეადგინა, თბილისში - 644 ლარი, კახეთში - 470 ლარი, ხოლო აჭარაში - 457 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	III 2019	IV 2019	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021
1	1800	697	564.2	2 223	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	187.9*	-
2	8679.5	3375.1	2120.4	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3
3	4756.8	1863.6	1089.7	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087	116.6	305.8
4	3222.1	1126.8	685.8	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	-
5	524.7	181.6	176.2	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	-
6	82.3	36.1	6.6	120.2	15.7*	3.0*	7.9*	-247.4*	-221.5*	2.2*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.